



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030420155943013

KA030420155943013

№ 04-305/ო

02 / ივლისი / 2013 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N 74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე” სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 10 აპრილის N04-177/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (დანართი 1.6) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N 74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 10 აპრილის N04-177/ო ბრძანებით დამტკიცებული (მექანიკური სავარძელ-ეტლებით) მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა – დანართი N1 და საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა – დანართი N2 დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.
2. მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაო ამ ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული ფორმებით (დანართი N1 და დანართი N2) წარმოდგენილი იქნეს 2013 წლის 1 ივნისიდან.
3. სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე

